

# რატომ შენდება ლაზიკა?! - მოსალოდნელი საფრთხეები

## დასაწყისი მე-5 გზა

ბისგან, იმიტომ რომ კონვენციას ხელი მოაწერა ხელისუფლებამ და არა ჩვენ, უბრალო ადამიანებმა, რომლებსაც შეიძლება გვექონდეს სურვილი რაღაცის გადარჩენის, მაგრამ ეს პირველ რიგში ვეაღი-ბა ხელისუფლებას. იმაზე რაც მოგვეწერეს ხობის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში ვისაუბრეთ, გთხოვთ უყუროთ ცნობილ კლიპს, თუ რამხელა სარეკლამო კამპანია მოჰყვა ლაზიკის იდეას და კლიპი სხვადასხვა ქვეყნებში გადაიკემა. ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): ესე იგი აქაც დაბნეულობაა, ხომ ხელდავთ, თავიდან პრეზიდენტმა ილაპარაკა. დიდი ხანი იყო საუბარი ფოთისა და ყულევს შორის, ახლა აღმოჩნდა, რომ ანაკლიასა და ყულევს შორისაა, ანუ არსად არ დევს ოფიციალურად ინფორმაცია სად რა არის, სულ სხვადასხვა მონაცემები მოგვდის, ამ დროს უკვე კლიპი არის გაკეთებული საპრომოუშენო, და გვეუბნებიან რომ გზა არის მისაყვანი და ოუსტიციის სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. ეროვნული პარკი, ქობულეთიდან ზუგდიდის საზღვრამდე მიდის და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რაზეც ლაშა ისაუბრებს. მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ კლიპში ფოთზეც ლაპარაკობენ, რომ ფოთის აეროპორტი უნდა იყოს სამხრეთ კავკასიაში უდიდესი, რამდენი უდიდესი აეროპორტი შეიძლება გვექონდეს 20 კილომეტრის რადიუსში?

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): ელემენტარულად, როდესაც შენობების რაღაც მონახაზებს, ქუჩებს და აეროპორტის პროექტს ვაჩვენებთ, ყველასთვის ცნობილი პროცესია რომ გარემოს ზემოქმედების შეფასება მაინც უნდა არსებობდეს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეკონომიკის სამინისტროს და არა ოუსტიციის სამინისტროს, რომელსაც ჩვენი მივწერეთ, რაიმე სახის პროექტი თუ არსებობდა, ინფორმაციის დონეზე მაინც, მოგვთხოვენ თანხა დოკუმენტების ქსერო ასლების გადასაღებად, ეს თანხა გაგზავნილი გვაქვს და ველოდებით ინფორმაციას, თუმცა, ამ პროცესმა ძალიან დაგვიანა.

გადავალ იმ საკითხზე, რომ არ ყოფილა წინასწარი განხილვები და დღემდე არ არსებობს ინფორმაცია დასაქმების შესახებ, თუნდაც, მიმდებარე სოფლებში, სადაც წესით თუ რაღაც შენდება უნდა დასაქმდეს ადგილობრივი მუშახელი, როგორც ჩვენი პრეზიდენტი გვეუბნება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არააინია ინფორმაცია ამის შესახებ დღემდე არ არსებობს და მსჯელობა ფაქტობრივად მიმდინარეობს მხოლოდ სოციალურ ქსელებში, ადამიანებს სხვა ოფიციალური ინფორმაცია თუ რა ხდება და როგორ ხდება ფაქტობრივად არა აქვთ. ჩვენ როცა მოგვეცა ამერიკის ელჩთან ინტერვიუს ჩაწერის საშუალება, შევეცადეთ საერთაშორისო ძალისხმევა ჩავგვეთო ამ საქმეში და მოგასმენინებთ ამ ჩანაწერს. რახან ვახსენეთ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, ამ

შემთხვევაში უმთავრესია, ამერიკის ელჩის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ეკონომიკური გათვლები შეუძლებელია საქართველოში ადამიანმა გააკეთოს და ამაზე შესანიშნავად ისაუბრეს აქ. ვერაზი-ასა და აფრიკას შორის მოგზაურობისას გადამფრენი ფრინველები დასასვენებლად სხდებიან და ერთვარ ინკუბატორს წარმოადგენს ამ ფრინველებისთვის. კოლხეთის ეროვნულ პარკში გამყინვარების პერიოდის შემდეგ გავრცელდა და დღემდე შემორჩა იშვიათი მცენარეები, რომლებიც პლანეტაზე ორად-ორ ადგილას არის დაცული და მათ შორის არის ის ჭაობები, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ და სადაც უნდა დაიწყოს აღნიშნული უდიდესი პროექტი. თუნდაც, ეს არ იყოს მაინც თავისთავად ექნება ძალიან დიდი ზეგავლენა, იმიტომ რომ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ფოთელებმა თუ რა გამოიწვია პალეოსტომის ტიპის შემთხვევაში ერთი უბრალო ასმეტრისანი არხის გაჭრა და ზღვიდან პირდაპირ პალეოსტომში. 39 სახეობის თევზიდან დღეს იქ არის თევზების მხოლოდ სამი სახეობა შემორჩენილი და ტბის წყლის დონე ყოველწლიურად იწვეს, რაღაც ათწლეულების განმავლობაში წყლის დონემ სადაც 2 მეტრით დაიკლო და ფაქტობრივად ამ ტბასაც ემუქრება გაქრობა. ეს უნდა იყოს ალბათ იმის მაგალითი, როდესაც ლაზიკაზე ვსაუბრობთ, რომ ნებისმიერი ჩანაფიქრი, რომელიც შეიძლება ინჟინრული თვალსაზრისით იყოს საუკეთესო, გარემოზე დამლუპველად მოქმედებს. ესე იგი ჩვენ ვსაუბრობთ იმ ტერიტორიაზე, ან მოსაზრებ ტერიტორიაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1935 წელს იყო თავისი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული და შესაბამისად ის ნაკრძალის მნიშვნელობის იყო, 1996 წლიდან ის მოექცა რამსარის კონვენციით დაცული ტერიტორიების საზღვრებში კოლხეთის ეროვნული პარკი და მათ შორის ის ტერიტორიები რომლებიც ყულევთან ახლოს მდებარეობს. ამ შემთხვევაში, თუ ჩვენ რამსარის კონვენციაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვაიწყდეს, ის რომ უკვე გვექონდა ჩვენ რამსარის კონვენციასთან ძალიან დიდი პრობლემები, როდესაც ყულევის ტერიტორია შენდებოდა, ამ პროცესმა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით ძალიან დიდი ხნით გააჭიანურა

ტერიტორიის მშენებლობა, მერე მოხდა კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების შეცვლა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზღვართან ერთად გადმოვა ის ბიომრავალფეროვნება, რომელიც შეიცვალა. იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება სერიოზულად გავგეფუჭდეს ურთიერთობა გაეროსთან და სხვადასხვა ქვეყნებთან უკვე ვისაუბრეთ. ამის გარდა ჩვენ ვკარგავთ ძალიან სერიოზულ პერსპექტივას ფრინველებზე დაკვირვებისთვის. ერთ-ერთ საუკეთესო ადგილებად არის მიჩნეული კოლხეთის ჭაობები. გამოძინარე იქედან, რომ თვითონ ტრასაზე მდებარეობს ეს ტერიტორიები ფრინველებს გადაფრენისთვის და რაც მთავარია ვკარგავთ ინვესტიციებს. როდესაც გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართულია

იქითკენ, რომ ამ პროექტს დაუპირისპირდნენ და ან თუ ჩვენ რამსარის კონვენციისგან გამოვალთ იმ შემთხვევაში ცხადია, დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ვეროპუ-ლი და ზოგად განვითარებული ქვეყნების ინვესტიციები ქვეყანაში არ შემოვიდეს და ისევე დავრჩეთ იმ არაბული და სხვა აგრესიული ინვესტიციების დონეზე, რომლებიც წლიდან წლამდე ვერაფერს ვერ ქმნიან.

ნანა ფაფავა (ყურნალისტი): რა სანქციებს გამოიწვევს რამსარის კონვენციის დარღვევა?

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): ეს არის ნებაყოფლობითი კონვენცია, თუმცა პერსპექტივაში ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, დარღვევა იქნება დამლუპველი.

ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): აქ არის ინვესტიციების პრობლემა, ნებისმიერი კარგი საინვესტიციო ფონდი, როგორც არის ვთქვით ვეროპის რეკონსტრუქციის და განვითარების პასუხისმგებელი დამფინანსებელი აქცევს ყურადღებას სადაც აკეთებს თავის პროექტებს. თუ აღმოჩნდება რომ ჩვენ აი ამ უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ სისტემას მივაყენებთ ასეთი დიდი ზიანი ჩვენი სახელმწიფოსთვის ძალიან რთული გახდება რაიმეს დამტკიცება.

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): ფოთი- ანაკლიის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით ამ ეტაპზე გაჩერებულია და არააინ იცის საერთოდ ამენდება თუ არა.

ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): ამიტომ არის ტენდენცია, რომ ევროპულ კაპიტალზე არ მიდიან და მიდიან აზიის განვითარების ფონდისკენ.

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): როდესაც გარემოს ზემოქმედების შეფასების და პროექტის განხილვა იყო, იქ გამოითქვა სერიოზული შენიშვნები. ბანკი თავის პრესტიჟის დასაცავად ყოველთვის მიდის ადამიანზე იმ საზოგადოებასთან, რომელიც იცავს ამ თუ იმ საკითხს და არა იმ ხელისუფლებასთან, რომელიც აფუჭებს.

ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არის კონვენციაში ასეთი მუხლიც, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ქვეყანას ამოიღოს ტერიტორია დაცული ტერიტორიებიდან, ოღონდ აუცილებლად უნდა ჩაანაცვლოს რევეკუტური ტერიტორიით, მხოლოდ იმხელა ტერიტორიით კი არა, როგორც ამოვარდება, არამედ ზუსტად იგივე მნიშვნელობის ტერიტორიით.

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): როგორც ვითხარით ჩვენ ოფიციალური ინფორმაციები ფაქტობრივად ვერცერთი სტრუქტურისადაც, მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ვერ მივიღეთ ამ ადვოკატორების პროცესში, იძულებული ვაგვხდით, რომ ნაციონალური არხები, რომლებიც ანმოვანებენ ხელისუფლების მიდგომებს, და ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან ბევრს საუბრობენ ამ არხებთან. იძულებული ვაგვხდით მხოლოდ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოვახდინოთ რეაგირება. ამ ეტაპზე ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ვაპირებთ მივმართოთ რამსარის ბიუროს წერილობით, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და ზოგადად პროტესტი რომელიც საზოგადოებაში არსებობდა ამ პროექტთან დაკავშირებით, უკვე ძალიან თვალსაჩინოა, თუ სოციალურ ქსელებში შევალოთ, ვნახავთ, რომ არსებობს ასეთი ჯგუ-



ფი ფეისბუქზე „არა ლაზიკას“ სადაც ყველა ინფორმაცია თავს იყრის და შემდეგ მიდის მსჯელობა, ამ საზოგადოების ხმა მივაწვდინოთ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც მოქმედების რაღაც მექანიზმები აქვთ. ისიც ვნახეთ, რომ ეკონომიკის მინისტრი საუბრობს ზოგად ინვესტიციებზე, და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებაზე და ასეთ დროს არ შეიძლება არ გაგახსენდეს ფოთის ინდუსტრიული ზონა, რომელიც შეიქმნა 4 წლის წინ და 4 წლის თავზე მხოლოდ ერთი ქარხანა გაიხსნა პატარა მოცულობის, რომელმაც ბრინჯით უნდა უზრუნველყოს ამიერკავკასიის ქვეყნების ბაზარი, ეს არის და ეს.

გიორგი მისწრაფიშვილი: ერთ საშუალებას დავამატებდი ლაშა, არ ვიცი, ეკოლოგები არ ვართ, მაგრამ როგორც ნინო ჩხობაძე ამბობს, ერთ-ერთი საშუალება ისიც არის, რომ ეს ჭაობები არის საქართველოს მტკნარი წყლის საკმაოდ დიდი საცავი და 21-ე საუკუნეში, როდესაც უკვე მტკნარ წყალზე მთელ მსოფლიოში დეფიციტია და ბრაზილიაში მხოლოდ რაღაც დიდი საცავები,

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): ამ შემთხვევაში საკითხს უნდა ჩავუღრმავდეთ, წყალი არსად არ მიდის, რჩება სიღრმეში, წყალი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია. ისაა მთავარი, რაც ზემოთ არის, ეს არის გადასარჩენი. მაგალითად, სოფელ ჭალადიდში, სადაც კომუნისტების დროს დამშობილია ჭაობები და წლებია არ სარულდება სამელი-ორაციო საშუალებები, რადგანაც მოსახლეობას ამის საშუალება არა აქვს, სფერული კვლების გვერდებში ფაქტობრივად ვერ თესვენ, ვერანაირი მოსავლი ვერ მოყავთ, ეს პროცესი კიდევ 20 წელი თუ გაგრძელდება ის ჭაობი ისევე იქცევა ჭაობად. ნანა ფაფავა (ყურნალისტი): მე ვნახე ანაკლიაში, იქ სადაც სასტუმროები აშენდა, იდგა რაღაც ტანკერი, ამის განმარტება არ უნდოდათ, რომელიც აკეთებს მუდმივად წყლის ამოტუმბვას.

ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): გარემოს დამცველები ფრთხილობენ იმაზე, რომ ჭაობი არის ღრუბელი, რომელიც ისრუტავს წყალს. შესაბამისად, ჭაობს აქვს ზღვის შემკა-ვენებული ფუნქცია და თუ ეს აღარ იქნება, შეიძლება წამოვიდეს ზღვა, ეს საფრთხე ისედაც არსებობს.

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): კლიმატის ცვლილების მეორე ეროვნული მეტეოლოგიის მიხედვით, რომელიც ორი წლის წინ შეიქმნა და ეს არის გაეროს დოკუმენტი, ზუსტად ამ დოკუმენტში საუბარია, რომ ყველაზე საშიში, წითელი ზონა მიუხედავად ლენტეხისა და დედოფლისწყაროსი, სადაც გაუდაბნობაა და ლენტეხში კი მიწა არ ჩერდება და მუდმივად იმეწყება. ფოთის შემთხვევაში არის საშიშროება ფოთის და სანაპირო ზოლის გაყოლებაზე, რომ ზღვა შემოიწვევს ხმელეთისკენ კიდევ რამდენიმე წელიწადში ძალიან აქტიურად, ასეთ დროს სწორედ ის მომენტია, რაზეც ირაკლიმ ისაუბრა, რომ ჭაობი არის ტივტივასავით და

იკავებს წყალს. ნინო თუნთია (ყურნალისტი): ძალიან საინტერესოა ერთი რამ, მე მაქვს შენება ანაკლიასთან და ბოლოს როცა იქ გახლდით, ვერ წარმოიდგენთ მოსახლეობის განწყობას, რა სიხარულით ელოდებიან ამ მშენებლობის დაწყებას. მე გირჩევთ, რომ იქ მოაწყოთ ერთი შეხვედრა, იმიტომ რომ ამ ადამიანებს რომ დაუწყვე ახსნა, არა ექსპერტულ დონეზე, მაგრამ მათთვის გასაგებ ენაზე. გამოკვეთა, რომ ყველაზე მეტად ეშინიათ ხმელეთისკენ ზღვის შესაძლო წამოსვლაზე. ჩემთან საუბრის შემდეგ ისინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ, როგორ გვიხაროდა და ეს რა საშინელება ყოფილაო. მათ უხარიათ ის რომ განდებდა სამუშაო ადგილი, გაკეთდება გზა, განდებდა შემოსავლის წყარო, მაგრამ, როცა ხედავენ მეორე მხარეს იცინა, რომ თუ ეს ხელისუფლება შეიცვლება, სხვა ხელისუფლებას შეიძლება ასეთი იდეები არც აწუხებდეს, იმის შიშშიც აქვთ, რომ ანაკლიას ისევე დაივიწყებენ, როგორც ამ ადამიანმა წამოატივტივა თავისი ოცნებების განსახორციელებლად. საკმაოდ სკეპტიკურად განვიწყობთ ის პატარა წრე, ვისთანაც მე მქონდა შეხება, ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაზე უპრიანი იქნება მათთან მოაწყოთ შეხვედრა. ფოთელებს ნაკლებად აინტერესებთ მსგავსი ტიპის საბჭოები, იქ კი შეღარებით აქტიური საზოგადოებაა. თუ თქვენ გეგნებთ საშუალება ამ ადამიანებს ეს ყველაფერი ადგილზე აუხსნათ, იქნება ძალიან კარგი.

ნანა ფაფავა (ყურნალისტი): ვერ დაგეთანხმებით, რადგან ვერ ვიტყვით, რომ ანაკლიელები აქტიურობით გამორჩეულდნენ. მათ საქციელს ვერ დავარქმევდი აქტიურობას. მიწები ჩამოართვეს და ვერ იკანონებენ, ეს პრობლემა დღესაც. საქონელი რაც ჰყავდათ და ძირითადად იქ მე-საქონელობა განვითარებული, ხალხს გააყიდინეს. მე გადავიღე ვიდეო კადრები, „ანაკლია ოცნების ქალაქი“, სადაც ქალი საუბრობს, თუ როგორ გააყიდინეს ერთადერთი მარჩენალი ძროხა. როდესაც მე ხმა ამოვიღე, მათგან წამოვიდა აგრესია, აქ ასეთი კარგი რაღაცეები კეთდება თუ თქვენ წინააღმდეგი როგორ ხართო. რაც შეეხება დასაქმებას, იქ ძალიან ცოტა ადგილობრივია დასაქმებული.

ლაშა ზარგინავა (მოწვეული ექსპერტი): ვინ არიან ინდუსტრიული ზონაში დასაქმებული ის 250 ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიურად ცხვირში გვეჩიან, არიან იქ ფოთელები? ძალიან ცოტა, ძირითადად არიან ჩამოსულები და იაფი მუშახელი.



პროექტის კოორდინატორი  
ქრისტინა ძაჭავია

პროექტის მხარდაჭერისათვის მაღლო-  
ბას ვუხდით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის  
სამხრემი  
კავკასიის ბიუროს